ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“

ხელნაწერის უფლებით

ნესტან გაფრინდაშვილი

გარემოსდაცვითი შედეგების გავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე საქართველოში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი

თბილისი, 2024

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ია ნაცვლიშვილი
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ოფიციალური შემფასებლები:

მამუკა ხუსკივაძე
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ვანო ბენიძე
აფილირებული ასოცირებული
პროფესორი,
კავკასიის უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 2024 წლის 26 ივნისს 15:00სთ-ზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, თსუ X კორპუსი, აუდიტორია N206

დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში,

ასოცირებული პროფესორი

მ. ლობჟანიძე

შინაარსი

სადისერტაციო თემის აქტუალურობა 3
კვლევის მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზები 5
კვლევის ობიექტი და საგანი 6
კვლევის მეთოდოლოგია და ემპირიული ბაზა 6
სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე 9
ნაშრომის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა 10
სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია 11
სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა 11
სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი 12
დასკვნები და რეკომენდაციები 16
გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები 21

სადისერტაციო თემის აქტუალურობა

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები უფრო და უფრო მეტად აქტუალური ხდება მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური გამოწვევებიდან გამომდინარე. ამ გლობალური ტენდენციების ფონზე და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველოშიც იმატებს გარემოსდაცვითი სფეროს მნიშვნელობა, როგორც მთლიანად ქვეყნის დონეზე, ასევე ინდივიდუალურად მოქალაქეების, ორგანიზაციების და ბიზნესის მასშტაბითაც. თუმცა, ქვეყანაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევებია და ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ეკონომიკური საკითხების მოგვარება მეტად პრიორიტეტულია, გარემოსდაცვით საკითხებთან შედარებით. ამავე დროს, ეკონომიკური შემოსავლები რომ საზოგადოების განვითარების დონესა და კეთილდღეობას არასაკმარისად ასახავს, სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა, ის, თუ რა როლი და მნიშვნელობა აქვს უშუალოდ გარემოსდაცვით ასპექტებს ადამიანების კეთილდღეობაში, ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი, განსაკუთრებით საქართველოსთვის.

ხშირად გარემოსდაცვითი შედეგების უგულებელყოფა ხდება მათთვის ეკონომიკური ღირებულების მინიჭების სირთულიდან გამომდინარე. ეს იწვევს გარემოს ისეთი ასპექტების მნიშვნელოვნების არასათანადოდ გათვალისწინებას, როგორებიცაა, მაგალითად, სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი და ნიადაგი, სიმშვიდე და ნაკლები ხმაური, ბიომრავალფეროვნება, ლანდშაფტები და ხედები. ყველა ეს ასპექტი, თავის მხრივ, პირდაპირ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე, სიცოცხლისა და ცხოვრების ხარისხზე და, საბოლოოდ, საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე. 21-ე საუკუნის ეკოლოგიური გამოწვევები და გლობალური განვითარების ტენდენციები ცხადყოფს, რომ საზოგადოებების კეთილდღეობა მჭიდროდ არის დამოკიდებული ცხოვრების არა მხოლოდ სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე, არამედ გარემოს დაცვაზეც, დედამიწის ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობასა და ცოცხალი ორგანიზმებისთვის ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებაზე.

გარემოსდაცვითი შედეგების ეკონომიკური შეფასებები და მათი გამოყენება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებების პროცესის ხელშეწყობისთვის, არამედ გარემოს რესურსების სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ცოდნის ამაღლებისთვისაც. გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ანალიზით ვარწმუნებთ დაინტერესებულ პირებს, ფართო საზოგადოებას, რომ გარემოს რესურსებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ეს დასაბუთებულია, არგუმენტებით გამყარებულია და ეკონომიკურად შეფასებულია. მონაცემების ეკონომიკური ანალიზით უფრო თვალსაჩინო ხდება საკითხის არსი საზოგადოების დაინტერესებული ჯგუფებისთვის, რაც, მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ქცევის დადებით ცვლილებებს მოსახლეობაში და ეს ცვლილებები ზოგად კეთილდღეობაზეც პოზიტიურად აისახება. ნაშრომში „გარემოსდაცვითი შედეგები“ და „გარემოსდაცვითი ზეგავლენა“ სინონიმებია და გულისხმობს სხვადასხვა სახის გარემოსდაცვით ფაქტორსა და ინდიკატორს, რომლებიც გამოიყენება გარემოს ზოგადი მდგომარეობის აღწერისთვის ან მისი კონკრეტული ასპექტის შეფასებისთვის. მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, რიგი აღნიშნული გარემოსდაცვითი ინდიკატორებისა შეირჩა წინამდებარე დისერტაციის მიზნებისთვის,

ისინი განხილულია დეტალურად ნაშრომში და გამოყენებულია ცვლადებად ეკონომეტრიკულ ანალიზში.

ზეგავლენის შეფასება (impact assessment) და ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (economic valuation) კეთილდღეობის ეკონომიკასთან, ეფექტიანობისა და სარგებლიანობის ცნებებთან არის კავშირში. ეს კონცეფციები აქტიურად განვითარდა ეკონომიკურ თეორიებში მე-19 საუკუნიდან და მე-20 საუკუნიდან ისინი უკვე პრაქტიკულად აისახა საჯარო პოლიტიკასა თუ კერძო ინიციატივებში. ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასების მოდელები დღესაც მუდმივად ვითარდება. გარემოსდაცვითი ზეგავლენის, როგორც მდგრადი განვითარების ფარგლებში ერთ-ერთი საკვანძო ასპექტის, შეფასების როლი და მნიშვნელობა უფრო იზრდება ასეთ მოდელებში.

გარემოსდაცვითი შედეგების გათვალისწინება პრიორიტეტული ხდება განვითარებული ქვეყნებისთვის კეთილდღეობის შეფასებებში და ეს გამოიხატება იმაშიც, რომ არაერთ საერთაშორისო თუ ეროვნული კეთილდღეობის მოდელებსა და ინდექსებში თანდათანობით იმატებს გარემოსდაცვითი კომპონენტები, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად.

კვლევის მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ჩამოყალიბდა კვლევის ორი მიზანი:

I. გარემოსდაცვითი შედეგების გავლენის შეფასება საზოგადოების კეთილდღეობაზე.

II. გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების ანალიზის როლის შეფასება კეთილდღეობის ეკონომიკაზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნის პროცესში.

ამ მიზნების მისაღწევად, კვლევაში დასახულია შესაბამისი ამოცანები:

- თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა გარემოს დაცვის ეკონომიკური ანალიზის მიმართულებით;
- გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის კავშირის შესწავლა.
- გარემოს დაცვასა და კეთილდღეობას შორის კავშირის შესწავლა;

- გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების როლის განსაზღვრა კეთილდღეობის შეფასების მოდელებში;
- გარემოსდაცვითი სფეროს ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკის შეფასება და ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა;
- გარემოსდაცვითი სფეროს კვლევითი და აკადემიური განვითარების პერსპექტივების შეფასება;
- საზოგადოების ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება გარემოს დაცვის სფეროში.

მსოფლიოში მზარდი ეკოლოგიური გამოწვევების ფონზე მოსალოდნელია, რომ გარემოსდაცვითი შედეგები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ინდივიდუალურად ადამიანების და ზოგადად ქვეყნის კეთილდღეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა შესაბამისი კვლევითი ჰიპოთეზები:

ჰიპოთეზა 1. საზოგადოებების კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორი არის არა ეკონომიკური განვითარება განცალკევებულად, არამედ მდგრადი განვითარება, რომელიც ასევე მოიცავს სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს.

ჰიპოთეზა 2. კეთილდღეობის შეფასების დღეს დამკვიდრებულ პრაქტიკაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორები.

ჰიპოთეზა 3. კეთილდღეობის მოდელებში გარემოსდაცვითი სფეროს მეტად პრიორიტეტიზაციაზე დადებითად მოქმედებს გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასებების განვითარება.

კვლევის ობიექტი და საგანი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს გარემოსდაცვითი შედეგები და კეთილდღეობა საქართველოში. კვლევის საგანია საქართველოში გარემოსდაცვით შედეგებსა და კეთილდღეობას შორის კავშირი.

კვლევის მეთოდოლოგია და ემპირიული ბაზა

წინამდებარე სადოქტორო დისერტაციისთვის დასახული კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვაგვარი კვლევითი მეთოდი, თეორიულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, ანალიზი, სინთეზი, შედარება და სხვა.

ნაშრომი ასახავს როგორც პირველადი, ასევე მეორეული კვლევის შედეგებს. ეს უკანასკნელი ეყრდნობა წყაროების ფართო სპექტრს, მათ შორის, ოფიციალური სტატისტიკის სამსახურების მიერ წარმოებულ მონაცემებს, რიგი საჯარო უწყებების მონაცემებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებსა და შეფასებებს.

სამაგიდე კვლევა წარიმართა დეტალური თეორიული ჩარჩოსა და ლიტერატურის მიმოხილვის სახით. მისი მიზანია, გაანალიზდეს შესაბამისი სამეცნიერო წიგნები, სტატიები, კვლევები და შეფასებები, რომლებიც აღწერს გარემოსდაცვითი ზეგავლენის კავშირს საზოგადოების კეთილდღეობასთან და ამ შედეგების ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობას. დამატებით, ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსთვის შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები, პოლიტიკისა და სტრატეგიის მიმართულებები, საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩო-შეთანხმებები, რიგი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების ანგარიშები და კვლევის შედეგები. დისერტაციაში დეტალურად დამუშავებულია ზემოხსენებული ქართული და საერთაშორისო მონაცემთა ბაზები, რის საფუძველზეც გაკეთებულია შესაბამისი სტატისტიკული ანალიზი.

პირველადი კვლევა ჩატარდა რამდენიმე მიმართულებით, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. პირველადი მონაცემების მოპოვების პროცესი მიმდინარეობდა 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით. თვისებრივი კვლევის პირველი ნაწილი, კონკრეტულად კი, ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. ამისათვის კომუნიკაცია შედგა ათეულობით ორგანიზაციასთან სხვადასხვა სექტორიდან, მათ შორის, საჯარო სექტორი, ბიზნესი და ასოციაციები, კვლევითი და აკადემიური დაწესებულებები. გამოპასუხებებიდან გამომდინარე, საბოლოოდ, ინტერვიუ შედგა 12 ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა იყო 33 წუთი. თვისებრივი კვლევის მეორე ნაწილი ფოკუს-ჯგუფის სახით ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების მაგისტრატურის დამამთავრებელი სემესტრის იმ სტუდენტებთან, რომელთაც გავლილი ჰქონდათ საგანი „ხარჯ-სარგებლის ანალიზი“. შეხვედრას ესწრებოდა 7 ადამიანი კვლევის ავტორის/მოდერატორის ჩათვლით. ჯგუფის

მონაწილეები იყვნენ ქალები და ერთი კაცი, მონაწილეთა საშუალო ასაკი 25 წელს შეადგენდა. შეხვედრა გაგრძელდა დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში. რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, ჩატარდა საზოგადოების ონლაინ-გამოკითხვა და გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს, ძირითადად, გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებულმა მოქალაქეებმა. გამოკითხვა მიმდინარეობდა 10 დღის განმავლობაში. შესაბამისი კითხვარი მოიცავდა 25 დეტალურ კითხვას (მათ შორის 3 ღია კითხვა და დანარჩენი - დახურული) გარემოსდაცვითი საკითხების გარშემო. კითხვარის შევსებაზე დახარჯული დრო საშუალოდ 24 წუთს შეადგენდა. გამოკითხვაში მონაწილედ დაფიქსირდა საბოლოოდ 318 ადამიანი და კითხვარი სრულად შეავსო მათგან 110-მა ადამიანმა.

დისერტაციის ბოლოს წარმოდგენილია ჩატარებული ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგები საქართველოსთვის გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის კავშირის დასადგენად. იმის მიხედვით, თუ რამდენად იყო ხელმისაწვდომი მონაცემები ანალიზისთვის საჭირო დროით ჭრილში, კვლევაში გამოსაყენებელ ცვლადებად შეირჩა ზემოაღნიშნული ინდიკატორებიდან რიგი მათგანი. კერძოდ, გარემოსდაცვით ცვლადებად შეირჩა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები გარემოს დაცვის მიმართულებით, სათბური გაზის ემისიების მოცულობა ქვეყანაში და „გლობალური კვალის ქსელის“ მიერ შემუშავებული მაჩვენებლები „ეკოლოგიური კვალისა“ და „ბიოლოგიური შესაძლებლობების“ შესახებ. ეკონომიკურ ცვლადებად კვლევაში გამოყენებულია მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები. კეთილდღეობის ცვლადებად კვლევაში წარმოდგენილია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი, ადამიანის განვითარების ინდექსი და მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშებში ასახული ბედნიერების ინდექსი. ეკონომეტრიკულ ანალიზში კეთილდღეობის ინდიკატორები წარმოდგენილია დამოკიდებულ ცვლადებად, ხოლო შერჩეული გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მაჩვენებლები - დამოუკიდებელ ცვლადებად. ცვლადებს შორის კორელაცია და რეგრესიული ანალიზი ჩატარდა პროგრამა „ივიუსის“ (Eviews) გამოყენებით.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მთავარი მეცნიერული სიახლეებია:

- ბიბლიოგრაფიული კვლევისა და პირველადი (რაოდენობრივი და თვისებრივი) კვლევის საფუძველზე დასაბუთებულია გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა ეროვნულ თუ საერთაშორისო კეთილდღეობის მაჩვენებლებში;
- კეთილდღეობის ეკონომიკის, ბუნებისეული კაპიტალისა და მთლიანი ეკონომიკური ღირებულების კონცეფციების თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზით გამოვლენილია გარემოს რესურსების ეფექტიანად გამოყენებასა და საზოგადოების კეთილდღეობას შორის პირდაპირი კავშირები;
- თვისებრივი კვლევისა და პრაქტიკული შემთხვევების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია გარემოსდაცვითი სფეროს ეკონომიკური ანალიზის გამოწვევები საქართველოში;
- რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილია გარემოს დაცვის სხვადასხვა ასპექტის მიმართ მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულებების მთავარი მახასიათებლები;
- წრფივი რეგრესიის საფუძველზე შეფასებულია კავშირი საქართველოში გარემოსდაცვით შედეგებსა და კეთილდღეობას შორის, ასევე, ეკონომიკურ ფაქტორებსა და კეთილდღეობას შორის;
- დადგენილია გარემოსდაცვითი ცვლადების კორელაცია კეთილდღეობის ინდიკატორებთან;
- დასაბუთებულია საქართველოსთვის კეთილდღეობის ეროვნული ინდექსის შემუშავების საჭიროება და შემოთავაზებულია სახელმძღვანელო პრაქტიკული ჩარჩო ქვეყნის ეროვნული კეთილდღეობის მოდელის შესამუშავებლად.

ნაშრომის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა

ნაშრომში განხილული თემები შეიძლება შეფასდეს როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული გამოყენების თვალსაზრისით. ერთი მხრივ, გარემოსდაცვითი შედეგების კონცეპტუალური მნიშვნელობის წარმოსაჩენად და თეორიული მიმართულების მეტად განსავითარებლად უნდა გაანალიზდეს კეთილდღეობის ეკონომიკის საწყისები, მისი მთავარი პრინციპები და მიდგომები, რამაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ხარჯ-სარგებლის ანალიზი წარმოშვა. სწორედ ამ ეკონომიკური თეორიების გათვალისწინებით, ნაშრომი წარმოაჩენს გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობას კეთილდღეობის შეფასებებში. მეორე მხრივ, გარემოსდაცვითი ზეგავლენის მასშტაბებზე დასაკვირვებლად აუცილებელია ეკონომიკური ღირებულების შეფასებითი მეთოდების თანამედროვე და უახლესი მიდგომების გაზიარება, განვითარება და პრაქტიკაში დანერგვა. სწორედ ამ კუთხით, ღირებულებითი შეფასებების განვითარების მიზნით, ნაშრომში წარმოჩენილია როგორც ობიექტური მონაცემების, ასევე სუბიექტური ხასიათის მონაცემების მოპოვებისთვის საჭირო კვლევების საჭიროება და აუცილებლობა. დამატებით, დისერტაცია წარმოადგენს ბუნებრივი და გარემოსდაცვითი რესურსების, როგორც ბუნებისეული კაპიტალის არსსა და მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, რომ ბუნებისეული კაპიტალის აღრიცხვიანობის გაუმჯობესება და მისი პრაქტიკულად დანერგვა ეროვნულ ანგარიშთა სისტემებში არის დღეს გარემოსდაცვითი ეკონომიკის განვითარების მთავარი გამოწვევა და ამოცანაც. ასევე, მნიშვნელოვანია მკვლევრებისა და ეკონომისტებისთვის, რომ მეტი ყურადღება მიექცეს კეთილდღეობის შეფასებებს და მდგრადი განვითარების ასპექტების, მათ შორის, გარემოსდაცვითი შედეგების როლს ამ შეფასებებში. ნაშრომი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს გარემოსდაცვითი ეკონომიკის, როგორც მეცნიერული და კვლევითი დარგის მნიშვნელობაზე.

ნაშრომში წარმოდგენილია სახელმძღვანელო პრაქტიკული ჩარჩო ქვეყნის ეროვნული კეთილდღეობის მოდელის შემუშავებისთვის. კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ინდიკატორებით საზოგადოების კეთილდღეობის შეფასება არ არის მიზანშეწონილი. უფრო მეტიც, მონაცემები აჩვენებს, რომ ეკონომიკური წინსვლის პარალელურად გარემოს რესურსების

ჭარბი გამოყენება ხდება, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან პერიოდში, ადამიანების კეთილდღეობასა და სიცოცხლის ხარისხს უქმნის საფრთხეს. მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე შექმნილი ეროვნული კეთილდღეობის მოდელის არსებობა საზოგადოების განვითარებას ახლებური ხედვით შეაფასებს და, მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს დადებით ქცევით ცვლილებებს როგორც უშუალოდ მოქალაქეებში, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და ბიზნესების, ფართო საზოგადოების დონეზე.

ნაშრომის გამოყენება შეიძლება:

- ეკონომისტებისა და მკვლევრების მიერ გარემოს დაცვასა და კეთილდღეობას შორის კავშირის შესასწავლად;
- გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასებითი მეთოდების თანამედროვე და უახლესი მიდგომების გაზიარების, განვითარებისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის;
- ქვეყნის ეროვნული კეთილდღეობის მოდელის შემუშავებისთვის;
- სტუდენტებისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო კურსებში.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია საქართველოსა და უცხოეთში სამეცნიერო კონფერენციების მასალებსა და ჟურნალებში (იხილეთ გვ.21).

ნაშრომმა დასრულებული სახით საბოლოო აპრობაცია გაიარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე (ამონაწერი 2024 წლის 24 იანვრის კათედრის სხდომის ოქმიდან #10). სადისერტაციო ნაშრომი რეკომენდებულია საჯარო დაცვისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომის მოცულობა კომპიუტერზე ნაბეჭდი 204 გვერდია. ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, 3 თავი, 10 ქვეთავი, 30 დიაგრამა, 21 ცხრილი, 3 სქემა, 4 დანართი, დასკვნები და რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურა (223

დასახელების წყარო) და დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალი.

შინაარსი

ცხრილების, დიაგრამებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი
აბრევიატურების ჩამონათვალი
შესავალი
თავი 1. გარემოსდაცვითი შედეგების ეკონომიკური ღირებულების ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები
1.1. კეთილდღეობის ეკონომიკა და ხარჯ-სარგებლის ანალიზი
1.2. ბუნებისეული კაპიტალი და „ბაზრის მარცხის“ პრობლემა გარემოს რესურსების მართვაში
1.3. მთლიანი ეკონომიკური ღირებულება (TEV) გარემოსდაცვით სფეროში
თავი 2. გარემოს დაცვა და კეთილდღეობა: არსებული სიტუაციის მიმოხილვა, ძირითადი მონაცემები და სტატისტიკა
2.1. გლობალური ტენდენციების ანალიზი გარემოს დაცვისა და კეთილდღეობის მიმართულებით
2.2. გარემოს დაცვა და მდგრადობა საქართველოში: სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მიმართულებები
2.3. ძირითადი გარემოსდაცვითი და კეთილდღეობის ინდიკატორების ანალიზი საქართველოში
2.4. გარემოსდაცვითი სფეროს ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკა საქართველოში
თავი 3. გარემოსდაცვითი შედეგების, როგორც კეთილდღეობაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება საქართველოსთვის
3.1. საზოგადოების ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგების ანალიზი
3.2. გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის კავშირის შეფასება
3.3. კეთილდღეობის მოდელის შემუშავება საქართველოსთვის
დასკვნები და რეკომენდაციები
გამოყენებული ლიტერატურა
დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები
დანართები

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი

დისერტაციის პირველ თავში წარმოდგენილია თეორიული ჩარჩოს ანალიზი კეთილდღეობის ეკონომიკის კონტექსტში, მიმოხილულია ამ სფეროში ცნობილი ეკონომისტების მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციები და მოდელები. კვლევის ამ ნაწილში გაანალიზებულია ისეთი ეკონომიკური საკითხები, როგორებიცაა სარგებლიანობა, ეფექტიანობა და ხარჯ-სარგებლის ანალიზი; აღწერილია ბუნებისეული კაპიტალის არსი და ნაჩვენებია ბუნებრივი და გარემოსდაცვითი რესურსების, როგორც

საერთო და საზოგადოებრივი ხასიათის მქონე რესურსების მართვასთან დაკავშირებული გამოწვევები; შემდეგ ეს ნაწილი მიმოიხილავს მთლიანი ეკონომიკური ღირებულების კონცეფციას და ღირებულების შეფასების მეთოდებს; აქვე დეტალურად არის გაანალიზებული საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ეკონომიკური ღირებულების შეფასების ისეთი მეთოდები და მიდგომები, როგორებიცაა „გაცხადებული უპირატესობა“, „გამოვლენილი უპირატესობა“, „სუბიექტური კეთილდღეობა“.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა გარემოს დაცვისა და კეთილდღეობის სფეროში არსებული სიტუაციისა და ძირითადი მონაცემების მიმოხილვას. ამ ნაწილში წარმოდგენილია გლობალური ტენდენციების ანალიზი, ძირითადი მონაცემები და სტატისტიკა, რომლებიც აჩვენებს კავშირს გარემოს დაცვას, ეკონომიკასა და კეთილდღეობას შორის; ეკონომიკისა და გარემოს დაცვის როლი საზოგადოების კეთილდღეობის შეფასებებში წარმოდგენილია რიგი საერთაშორისო ინდექსების (მათ შორის, ადამიანის განვითარების ინდექსი და ბედნიერების ინდექსი) დეტალური ანალიზით; ამ ნაწილში ასევე განხილულია „ისტერლინის პარადოქსისა“ და „გარემოსდაცვითი კუზნეცის მრუდის“ შემთხვევები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე; შეფასებულია გარემოზე ზემოქმედებისა და მდგრადი განვითარების გათვალისწინების საკითხები ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების საჯარო პოლიტიკაში. შემდეგ, ეს ნაწილი გრძელდება საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვით რამდენიმე მიმართულებით: გარემოსდაცვითი პოლიტიკა და რეგულაციები, საზოგადოების ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგები და გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასების პრაქტიკა. აქვე წარმოდგენილია შერჩეული გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და კეთილდღეობის ინდიკატორების დეტალური ანალიზი საქართველოსთვის.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა, ერთი მხრივ, საქართველოსთვის პირველადი კვლევის (როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდებით) საფუძველზე მიღებული მონაცემების განხილვას და მეორე მხრივ, ჩატარებული ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგებს. თვისებრივი კვლევის შედეგები წარმოდგენილია ორი მიმართულებით: ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან

და ფოკუს-ჯგუფი სტუდენტებთან. რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, წარმოდგენილია საზოგადოებასთან ჩატარებული ონლაინ-გამოკითხვის შედეგები. ეკონომეტრიკული ანალიზის ქვეთავში აღწერილია საქართველოსთვის გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის შესწავლილი კავშირის შედეგები.

ეკონომეტრიკულ ანალიზში *დამოკიდებულ ცვლადებად* წარმოდგენილია კეთილდღეობის შერჩეული ინდიკატორები: ბედნიერების ინდექსი მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშებზე (World Happiness Reports) დაყრდნობით; ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი. ეკონომეტრიკულ ანალიზში *დამოუკიდებელ ცვლადებად* წარმოდგენილია შერჩეული გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ინდიკატორები: „ეკოლოგიური კვალი“ მოსახლეობის ერთ სულზე; „ბიოლოგიური შესაძლებლობები“ მოსახლეობის ერთ სულზე; სათბური გაზის ემისიები მოსახლეობის ერთ სულზე; გარემოს დაცვის მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები; მშპ მოსახლეობის ერთ სულზე; მეშ მოსახლეობის ერთ სულზე.

პირველ ეტაპზე მოხდა შერჩეული ეკონომიკური ინდიკატორების გავლენის შესწავლა კეთილდღეობის მაჩვენებლებზე. შედეგების მიხედვით, როგორც ბედნიერების ინდექსი, ასევე ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) კორელაციაშია ეკონომიკურ განვითარებასთან (მშპ და მეშ) და ეს არც არის გასაკვირი. კეთილდღეობის წარმოდგენილი ინდიკატორები, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითვალისწინებს ეკონომიკურ მდგენელებსაც: ბედნიერების ინდექსი მოიცავს მშპ-ს, ხოლო ადამიანის განვითარების ინდექსი - მეშ-ს. მიღებული რეგრესიული ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოსთვის ერთი ერთეულით მშპ-ის ცვლილება 0.4 ერთეულით ცვლის ბედნიერების მაჩვენებელს, ხოლო ერთი ერთეული მეშ-ის ცვლილება 0.2 ერთეულით ცვლის ადამიანის განვითარების მაჩვენებელს. ორივე შემთხვევაში კავშირი ცვლადებს შორის ძალიან მაღალია (დეტერმინაციის კოეფიციენტი (R^2) არის 0.87 და 0.94, შესაბამისად). ანალიზიდან ჩანს, რომ ეკონომიკური მაჩვენებლების გავლენა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე დადებითია, თუმცა მნიშვნელოვნად დაბალი

კოეფიციენტებით და ცვლადებს შორის კავშირის სიძლიერის ამხსნელობითი უნარიც (R^2) ამ შემთხვევაში შედარებით მცირეა (0.63 მშპ-ის შემთხვევაში და 0.40 მეშ-ის შემთხვევაში).

მეორე ეტაპზე ჩატარდა ეკონომეტრიკული ანალიზი გარემოსდაცვით ინდიკატორებსა და კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის კავშირის შესაფასებლად, რისი შედეგებიც მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით:

- კეთილდღეობის სამივე ინდიკატორთან გარემოსდაცვითი ცვლადების ძლიერი კორელაცია ჩანს. მხოლოდ „ბიოლოგიურ შესაძლებლობებთან“ ჩანს შედარებით დაბალი კორელაცია, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ „ბიოლოგიური შესაძლებლობების“ მაჩვენებელი ათეული წლების განმავლობაში არ შეცვლილა და ეს მოდელმა შესაბამისად ასახა.
- გარემოსდაცვითი ცვლადები უფრო ძლიერ კორელაციას აჩვენებს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა და HDI-ის მაჩვენებლებთან, ვიდრე ბედნიერების ინდექსთან.
- გარემოსდაცვით ფაქტორებს, როგორც დამოუკიდებელ ცვლადებს რეგრესიულ ანალიზში, საერთო ჯამში, მცირე ამხსნელობითი უნარი აქვთ კეთილდღეობის ინდიკატორებთან, როგორც დამოკიდებულ ცვლადებთან. კერძოდ, გარემოსდაცვითი ასპექტების ცვლილების გავლენა ბედნიერების ინდექსთან, ადამიანის განვითარების ინდექსსა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან მიმართებაში შეფასდა დეტერმინაციის კოეფიციენტებით (R2) 0.21, 0.63 და 0.37 დონეზე, შესაბამისად.
- რეგრესიულ ანალიზში მცირე, თუმცა მაინც უარყოფითი კავშირი ჩანს გარემოსდაცვით სახელმწიფო ხარჯებსა და შერჩეულ კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის.
- როგორც „ეკოლოგიური კვალის“, ასევე სათბური გაზის ემისიების მაჩვენებლები დადებით დამოკიდებულებას აჩვენებს კეთილდღეობის შერჩეულ ინდიკატორებთან რეგრესიულ ანალიზში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული გარემოსდაცვითი მაჩვენებლები ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას აჩვენებს (რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზეც აისახება რეალობაში), კეთილდღეობის შერჩეული ინდიკატორები ამას რეალურად არ ზომავს და არ ითვალისწინებს.

კვლევის შედეგები აჩვენებს იმის საჭიროებას, რომ შემუშავდეს კეთილდღეობის შეფასების ეროვნული ინდექსი, სადაც, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებთან ერთად, აუცილებლად მოხდება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტების ინტეგრირება.

დასკვნები და რეკომენდაციები

საზოგადოების კეთილდღეობაზე გარემოსდაცვითი შედეგების გავლენის შეფასების მიზნით ჩატარებული ბიბლიოგრაფიული ანალიზის, თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმოხილვის, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის, ეკონომეტრიკული მოდელის შედეგების საფუძველზე დადასტურდა კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები: (ა) საზოგადოების კეთილდღეობას განაპირობებს არა მხოლოდ ეკონომიკური მდგენელები, არამედ მდგრადი განვითარება, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მიმართულებებს; (ბ) საერთაშორისო ინდექსებით ასახული კეთილდღეობის შეფასების დამკვიდრებულ პრაქტიკაში ბოლო პერიოდში იმატებს გარემოსდაცვითი კომპონენტების როლი, თუმცა, ჯერ კიდევ განმსაზღვრელ როლს მათში ასრულებს ეკონომიკური ფაქტორები; (გ) განვითარებული ქვეყნების მაგალითზე ჩანს, რომ გარემოსდაცვითი ზეგავლენის ეკონომიკური ღირებულების შეფასებების განვითარება დადებითად მოქმედებს კეთილდღეობის მოდელებში გარემოსდაცვითი სფეროს მეტად გათვალისწინებაზე.

კვლევის შედეგების საფუძველზე, წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები:

- დღეს მსოფლიოს წინაშე არსებული ეკოლოგიური გამოწვევები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოციალური თვალთახედვით, არამედ უშუალოდ ეკონომიკური პერსპექტივიდანაც. არსებული პრაქტიკის შესწავლა აჩვენებს, რომ „გარემოსდაცვითი კუზნეცის მრუდი“ ყოველთვის არ მუშაობს თუნდაც უკვე განვითარებულ, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ეკოლოგიური კომპონენტების ინტეგრირება ქვეყნის განვითარების პროცესებში, განვითარების ეტაპის მიუხედავად. მნიშვნელოვნად მაღალი და მზარდია ის ზარალი, რასაც მსოფლიო და მათ შორის, საქართველოც იღებს ეკოლოგიური დეგრადაციის შედეგად. რიგი საერთაშორისო შეფასებები (მათ შორის,

EPI და EF) ზომავს ქვეყნების ეკოლოგიურ მდგრადობას და ორივე მათგანის მიხედვით, საქართველო რეიტინგით დაბალ საფეხურზეა.

- საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ გარემოზე მიყენებული ზიანი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობასა და ზოგადად სიცოცხლის ხარისხზე; გარემოს დაბინძურება პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუარესებასთან და პირიქით, ჯანსაღ გარემოში ცხოვრებასა და მდგრად ეკოსისტემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არაერთი დადებითი ეფექტის სახით ადამიანის ჯანმრთელობასა და მის კეთილდღეობაზე.
- გარემოსდაცვითი ზეგავლენის მიმართ ეკონომიკურ ხედვას შეუძლია შეცვალოს ამ სფეროს მიმართ საზოგადოების განწყობები. ხშირად ისმის არა მხოლოდ მთლიანად საზოგადოების, არამედ პროფესიული წრეების მხრიდანაც, რომ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების რიგი საკითხები მეტად პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოს დაცვა. ეს მოსაზრება მხოლოდ წინასწარ განწყობებს შეიძლება უკავშირდებოდეს, ვინაიდან სფეროს საფუძვლიანი და ეკონომიკური ანალიზით შედეგები სხვა სურათს გვაძლევს: გარემოსდაცვითი საკითხების ნაკლებად პრიორიტეტულობამ, დღევანდელი გამოწვევების ფონზე, შესაძლოა სწორედ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამწვავება გამოიწვიოს და ღარიბი მოსახლეობა უფრო მეტად გაღარიბდეს.
- საქართველოში, როგორც არაერთ სოციალური გამოწვევის წინაშე მდგომ განვითარებად ქვეყანაში, საზოგადოებისთვის, ძირითადად, უპირატესია ეკონომიკური საკითხების მოგვარება, გარემოს დაცვის საკითხებთან შედარებით, რასაც სადისერტაციო კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს. გარდა ამისა, დღეისათვის გამოკვეთილია, რომ ქვეყანაში ინტერესები ხშირად გამიჯნულია როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე უშუალოდ პოლიტიკის გამტარებლების, ბიზნესისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დონეზე. ეკონომიკის ზრდასა და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული მხარეები რადიკალური პოზიციებით გამოირჩევიან. შესაბამისად, არ ჩანს ამ ორ სფეროს შორის

არსებული რეალურად მჭიდრო კავშირი. ნაშრომი წარმოაჩენს დაბალანსებული, კეთილდღეობაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას და ამ კუთხით, დაპირისპირებული მხარეების ცოდნის ამაღლების და პრაქტიკის ცვლილებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიძლება გახდეს.

- გარემოს დაცვის სფერო დღეს საქართველოში ნაკლებად არის მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომის ანალიზის ობიექტი და საგანი. ქვეყანაში ეკოლოგიაზე ზრუნვა ხშირად მხოლოდ აქტივიზმის ფარგლებში ხდება, რაც მოწინააღმდეგე მხარეების კიდევ უფრო მეტად დაპირისპირებას იწვევს და მათ შორის ურთიერთგაგების შესაძლებლობას ამცირებს. მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ცოდნის ამაღლება საზოგადოებაში, მათ შორის, განსაკუთრებით სკოლამდელი და სასკოლო განათლების საფეხურზე, ასევე, გარემოსდაცვითი ეკონომიკის აკადემიური განვითარება უმაღლესი განათლების დონეზე. საჭიროა ამ სფეროთი მეტი ეკონომისტისა და სტუდენტის დაინტერესება, შესაბამისი სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მოდელების შემუშავება, რათა გარემოსდაცვითი დებატები გახდეს მეტად დასაბუთებული და არგუმენტირებული.
- გარემოს დაცვის ეკონომიკური ანალიზი, მკვლევრებსა და ეკონომისტებს შორისაც კი, მნიშვნელოვან გამოწვევებს უკავშირდება, ვინაიდან გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების მიმართ საბაზრო ფასი ხშირად განსაზღვრული არ არის და საჭირო ხდება მნიშვნელოვანი და კომპლექსური კვლევების ჩატარება, „გამოვლენილი უპირატესობის“, „გაცხადებული უპირატესობისა“ და სხვა მსგავსი მეთოდების გამოყენება. იმისათვის, რომ მთლიანი ეკონომიკური ღირებულება და სხვა მსგავსი მეთოდები უფრო ფართოდ იყოს გამოყენებული ეკოსისტემური მომსახურებების შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია შესაბამისი ეროვნული გამოკითხვების რეგულარული ჩატარება, კეთილდღეობასა და გარემოსდაცვით რესურსებთან დაკავშირებით მოსახლეობის უპირატესობების, სუბიექტური აღქმებისა და დამოკიდებულებების შესწავლა, რაც შემდგომ ეკონომიკური კვლევებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის.

- ჯერჯერობით გლობალურ დონეზეც ნაკლებად არის გავრცელებული ეკოსისტემის აღრიცხვიანობა ეროვნულ ანგარიშთა სისტემებში და მისი დანერგვა განსაკუთრებით ბევრ გამოწვევას უკავშირდება განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, თანდათანობით გააქტიურდეს საქართველოში ბუნებისეული კაპიტალის ჩართვა ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, რათა გარემოსდაცვითი რესურსების ღირებულება იყოს ცხადი საზოგადოებისთვის, ყველა დაინტერესებული მხარისა და პროფესიონალისათვის. ეს ხელს შეუწყობს ბუნებისა და ეკოსისტემის მომსახურებების, როგორც კეთილდღეობის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორების მნიშვნელობის აღიარებას და მდგრადი გადაწყვეტის გზების ძიებას მომავალი განვითარებისთვის.
- კვლევის ფარგლებში შეფასდა გარემოსდაცვითი სფეროს ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკა საქართველოში სამი ძირითადი დოკუმენტის მაგალითზე: (ა) საინვესტიციო პროექტების შეფასება; (ბ) რეგულირების ზეგავლენის შეფასება; (გ) გარემოზე ზემოქმედების შეფასება. სამივე დოკუმენტი მეთოდოლოგიურად კეთილდღეობის ეკონომიკის პრინციპებსა და ხარჯ-სარგებლის ანალიზს ეფუძნება. არსებული პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ეს შეფასებები ქვეყანაში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი სფეროს ეკონომიკური ანალიზის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ეკოსისტემის ღირებულებითი შეფასებები მსგავსი ანალიზის პროცესის ნაწილი უფრო მეტად გახდეს.
- კვლევამ წარმოაჩინა გარემოს დაცვასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო კავშირის მნიშვნელობა კეთილდღეობის ეკონომიკის კონტექსტში. კონკრეტულად საქართველოსთვის შეფასდა გარემოსდაცვითი ასპექტების კავშირი კეთილდღეობის შერჩეულ ინდიკატორებთან. ეკონომეტრიკული ანალიზიდან ჩანს, რომ, ერთი მხრივ, შერჩეულ გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ცვლადებს შორის კორელაცია უმეტესად არის ძლიერი და მეორე მხრივ, გარემოსდაცვით ფაქტორებს, როგორც დამოუკიდებელ ცვლადებს რეგრესიულ ანალიზში, საერთო ჯამში, მცირე ამხსნელობითი უნარი აქვთ კეთილდღეობის ინდიკატორებთან, როგორც დამოკიდებულ ცვლადებთან. როგორც „ეკოლოგიური კვალის“, ასევე სათბური გაზის

ემისიების მაჩვენებლები დადებით დამოკიდებულებას აჩვენებს კეთილდღეობის შერჩეულ ინდიკატორებთან რეგრესიულ ანალიზში. სხვა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული გარემოსდაცვითი მაჩვენებლები ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას აჩვენებს (რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზეც აისახება რეალობაში), კეთილდღეობის შერჩეული ინდიკატორები ამას რეალურად არ ზომავს და არ ითვალისწინებს. ვინაიდან არსებული გარემოსდაცვითი და კეთილდღეობის მონაცემები საქართველოსთვის საკმარისად დიდ დროით ჭრილში არ არის ხელმისაწვდომი, ეს საკითხის ეკონომეტრიკული ანალიზისთვის შეზღუდვას წარმოადგენს. თუმცა, დისერტაციაში დასახული პრობლემა და მიღებული შედეგები ამ მიმართულებით მომავალი კვლევებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საქართველოსთვის შემუშავდეს ეროვნული კეთილდღეობის ინდექსი, რომელშიც თანაბრად იქნება გათვალისწინებული როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მსგავსი ეროვნული მოდელები არსებობს, გარემოს დაცვის მნიშვნელობა და შესაბამისი ღირებულებითი შეფასებებიც მეტად განვითარებულია. გარდა ამისა, მსგავსი მოდელის არსებობა ქვეყანაში სასარგებლო იქნება, ვინაიდან ხელს შეუწყობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსახლეობა, ბიზნესები, სახელმწიფო) ცოდნის ამაღლებას მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის ეკონომიკის სფეროში. დამატებით, ამ ინდექსის შესაფასებლად საჭირო მონაცემების მოპოვებასა და დამუშავებაზე პერიოდული მუშაობა გააუმჯობესებს გარემოსდაცვითი ინდიკატორების (როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ხასიათის მონაცემების) ხარისხსა და რაოდენობას ქვეყანაში. ეს კი, თავის მხრივ, სფეროს ეკონომიკური ანალიზისა და დარგში მომავალი კვლევებისთვის განსაკუთრებით ფასეული იქნება.

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები

[1]. Gaprindashvili, N. (2023). "The importance of economic analysis of environmental impacts: theoretical framework and practical policy implications". Article for the referential and reviewed International Scientific-Analytical Journal "Economics and Business" at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. Volume XV. 2023. №4. pp. 124-144.

[2]. Gaprindashvili, N. (2023). "Environmental Policies and Practice in Georgia: Some Indications to Consider on the way to Sustainability". Article for the Scopus-indexed academic journal Public Policy and Administration at Mykolas Romeris University. Vol. 22, No 4, pp. 594–608.

[3]. Gaprindashvili, N. (2023). „Environmental impacts and sustainable development: results from public awareness and attitudes' study in Georgia". Article for Scopus-indexed "IOP Conference Series: Earth and Environmental Science", presented at the 3rd International Scientific Conference on Environmental Sustainability in Natural Resources Management. October 20, 2023. Sci. 1269 012026.

[4]. გაფრინდაშვილი, ნ. (2023). „გარემოსდაცვით და კეთილდღეობის ინდიკატორებს შორის კავშირი საქართველოში". სტატია პროფესორ ნოდარ ხადურის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისთვის. 31 ივლისი, 2023. გვ. 37-49. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

[5]. გაფრინდაშვილი, ნ. (2022). „გარემოსდაცვითი ეკონომიკა საქართველოს მდგრადი განვითარების და ევროშირთან ასოცირების დღის წესრიგში". სტატია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისთვის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". 4 ნოემბერი, 2022. გვ. 80-89. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

[6]. Gaprindashvili, N. (2022). "Economic valuation of non-market impacts and its use in public policy making". Article for the 8th International Scientific Symposium "Economics, Business & Finance" & 5th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC). pp. 35-41. Institute of Researches and International Symposiums IRIS – ALKONA.

[7]. გაფრინდაშვილი, ნ. (2022). "სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების შეფასება საქართველოში". სტატია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისთვის. 30 ივლისი, 2022. გვ.48-62. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

[8]. გაფრინდაშვილი, ნ. (2022). „რეგულირების გავლენის შეფასება პანდემიის დროს". სტატია უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისთვის „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა". 8 თებერვალი, 2022. გვ.63-70. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.